მმართველობის ორგანოს მოწვევისა და ჩატარების სამართლებრივი რეგულირების ფარგლები საკორპორაციო სამართალში

სალომე ქადაგიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ქადაგიშვილი

2023 წელი

აბსტრაქტი

სამეწარმეო საზოგადოების ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მმართველობის ორგანოებს შეეძლოთ სრულყოფილად განახორციელონ მათთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილებები. ამისთვის მმართველობით ორგანოებს შორის ბალანსისა და ანგარიშვალდებულების კვალდაკვალ, მნიშველოვანია მოწვევის პროცედურების დაცვის აუცილებლობის სრულყოფილად გააზრება და კანონის იმპერატიული დანაწესის მაქსიმალურად გათვალისიწინება. რადგან, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება მმართველობის ორგანოების მოწვევა პროცედურების სრულად დაცვით და შემდგომ კანონისა და წესდებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად მისი წარმართვა. აღნიშნული პროცედურების დაცვით სხდომის/კრების ჩატარება აუცილებელია აქციონერების ინტერესების დაცვისათვის და საბოლოოდ საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისა და ნაბიჯების გადადგმისათვის.

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს რა პრობლემური საკითხების წინაშე დგებიან მმართველობის ორგანოების მოწვევაზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები, მათზე დაკისრებილი უფლებამოსილებისა თუ ვალდებულების განხორციელების დროს. ამასთანავე განხილულია საკითხები თუ რა დროს არ ჩაითვლება კრების მოწვევის პროცედურები დარღვეულად და არ დადგება დღის წესრიგში მიღებული გადაწყვეტილების ბათილობის საჭიროება.

მოცემული კვლევის დროს გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი და სასამართლო პრაქტიკა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით მმართველობითი ორგანოს მოწვევის და ჩატარების საკითხები ახლებურად არის მოწესრიგებული, გათვალისიწინებულია, როგორც ძალადაკარგული რედაქციის დებულებები, ასევე შემოტანილია ახალი ელემენტები. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონის ძალაში შესვლიდან არ არის გასული დიდი დრო და ქართული კანონმდებლობისთვის შემოთავაზებულია ბევრი სიახლე, შეიძლება ითქვას, რომ

ბოლოდმე არ არის შესწავლილი ამ საკითხის მომწესრიგებელი ნორმების პრაქტიკაში მოქმედების შედეგები. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში არის მცდელობა გამოავლინოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზები, და რეკომენდაციების გაცემის გზით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ერთიანი სრულყოფილი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკვლევი თემის საკვანძო სიტყვები: მარეგისტრირებელი ორგანო, მოქალაქის ელექტრონული პორტალი, ანგარიშვალდებული საწარმო.

Abstract

For the functioning of the entrepreneurial society, it is important for the governing bodies to be able to fully exercise the powers assigned to them by law. For this, in the wake of balance and accountability between governing bodies, it is important to fully understand the need to follow the invitation procedures and to take into account the imperative provisions of the law as much as possible. Because it is still a problematic issue to invite the governing bodies in full compliance with the procedures and then conduct it in accordance with the provisions provided by the law and statutes. Holding the session/meeting in compliance with the mentioned procedures is necessary to protect the interests of the shareholders and ultimately to make appropriate decisions and take steps based on the best interests of the society.

The main goal of the research is to show what problematic issues are faced by the persons responsible and participating in the convening of the governing bodies, during the implementation of the authority or obligation assigned to them. In addition, issues were discussed as to when the procedures for convening the meeting will not be considered violated and there will be no need to cancel the decision made on the agenda.

Historical-legal, comparative legal research method and judicial practice are used during this research. As a result of the research, it was revealed that with the current version of the Law of Georgia On Entrepreneurs, the issues of convening and conducting the governing body are regulated in a new way, the provisions of the invalid version are taken into account, and new elements are introduced. Based on the fact that not much time has passed since the entry into force of the current law and many innovations have been proposed for the Georgian legislation, it can be said that the results of the implementation of the norms governing this issue in practice have not been studied recently. Accordingly, in this work there is an attempt to reveal the gaps in the law of Georgia On Entrepreneurs, and by issuing recommendations, to promote the formation of a single perfect practice in the country.

Key words of the research topic: registration body, citizen's electronic portal, accountable enterprise.